ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲒᲗᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 88 (18630) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 15 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲩᲕᲐᲚ-ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ!

● **ᲩᲕᲐᲚ** თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ კოლექტივი შრომის ზეიმში ერთსულოვნად მიიღებს მონაწილეობას. უმრავლესობა უშუალოდ სამუშაო ადგილებზე იქნება დასაქმებული. 16 აპრილი აქ გამოცხადებულია უმაღლესი შრომის ნაყოფიერების დღედ. მეფეხსაცმლეები ენერგიულად იშრომებენ და 15.400 მანეთის პროდუქციას მიაწვდიან მომხმარებელს, ხუთწლედის ფონდში კი 1600 მანეთს გადარიცხავენ. („კომუნისტის“ კორ).

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (ხაკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და შრომითს კოლექტივებში მზად არიან კომუნისტური შაბათობისათვის.

წინასწარი მონაცემებით, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 62 ათასზე მეტი მშრომელი, რომელთაგან უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს თითქმის ნახევარი. ამ დღეს დაამზადებენ 14 ათასი მანეთის პროდუქციას.

ქუთაისელები ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 70 ათას მანეთს, პროდუქციის მასობრივი წარმოება უზრუნველყოფილი იქნება დაზოგილი ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის ხარჯზე. შეეროვდება 300 ტონა ლითონის ჯართი. გარდა ამისა, ამ დღეს მშენებლობაზე შესრულდება 130 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაზე იმუშავებს 3000 ავტომანქანა, ხოლო ქალაქის კეთილმოწყობასა და გამშვენიერებაში მონაწილეობას მიიღებს 20 ათასზე მეტი კაცი. გაშენდება ახალი სკვერები, ბაღნარები, მოედნები, კეთილმოეწყობა არსებული ბაღები და პარკები, დაირგვება ათასობით ხე-ბუჩქი და მცენარე.

● **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (ხაკ. კორ.). გაზრდილი ამოცანები დაისახა ლენინური შაბათობისათვის ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა. აქ გადაწყვეტილი აქვთ შრომის დიდი ნაყოფიერებით აღნიშნონ 16 აპრილი, დაზოგილი ელექტროენერგიითა და მასალებით გამოუშვან 6 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საგნები.

● **ᲯᲘᲕᲐᲠᲨᲘᲚᲘ.** (ხაკ. კორ.). ენგურჰესის მშენებლობის მრავალათასიანი და მრავალეროვანი კოლექტივი მზად არის კომუნისტური შაბათობისათვის. შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს მშენებლობაზე დასაქმებული 4500-ზე მეტი კაცი.

მათგან 3700 მშრომელი უშუალოდ სამუშაო ადგილას გაირჯება. ისინი შეასრულებენ 62 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. დამზადდება 1140 კუბური მეტრი ბეტონი, მათ შორის 850 კუბური მეტრი — ჩაისხმება უნიკალური თაღოვანი კაშხალის ტანში. შაბათობის დღეს ენგურჰესელები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ იშრომონ უმაღლესი ნაყოფიერებით, მომჭირნედ გამოიყენონ სამენი მასალები, ნედლეული და რესურსები, დაზოგავენ 24 ტონა ცემენტს, 9 ტონა ლითონს, დიდძალ ხე-ტყის მასალას, 2 ათას ლტრ საწვავს, 245 ავტომანქანა და 6 ტრაქტორი კი დაზოგილი სათბობით იმუშავებს. ენგურჰესელები შეაგროვებენ აგრეთვე 12 ტონა ლითონის ჯართს.

800 მშრომელი კი შეასრულებს მშენებლობის უბნების, ობიექტების, დასახლებათა კეთილმოწყობის სამუშაოებს, ჯვარსა და დაბა ფოცხო-ეწერში დარგავენ 1000 ძირ ნერგს. შაბათობაზე გამომუშავებული მთლიანი თანხიდან 11 ათასი მანეთი გადაირიცხება მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში.

● **ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ.** (ხაკ. კორ.). ხვალ ვ. ი. ლენინის დაბადების 113-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად ერთსულოვნად გამოელენ ჩაის პირველი ფაბრიკის მშრომელები. ისინი გადაამუშავებენ ლაო ჩაის, შეაკეთებენ მანქანა-დანადგარებს, კეთილმოაწყობენ ფაბრიკის ტერიტორიას.

სულ დამზადდება 5 ათასი მანეთის ნაწარმი. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 250 მანეთი.

● **ᲙᲐᲡᲞᲘ.** (ხაკ. კორ.). ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ მშრომელები ვ. ი. ლენინის დაბადების 113-ე წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობისათვის კარგად მოემზადნენ.

როგორც შაბათობის მომზადების საქმეში ტაბში გვაცნობეს, ხვალ შრომის დღესასწაულზე 900 მუშამოსამსახურე გამოვა, აქედან მატერიალური წარმოების სფეროში 500 კაცი იმუშავებს.

ამ დღეს მეაპარატეები 65 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 1500 მანეთს შეაგროვებენ ზეიდ ტონა ჯართს, გაამწვანებენ და კეთილმოაწყობენ ქარხნის ეზოს, სპორტულ მოედნებს.

1983 წლის 16 აპრილი სამუდამოდ დაახსომდებათ რკონის ხეობაში ხელმეორედ აღორძინებული სოფლის—რკონის მცხოვრებლებს. ამ დღეს „კასპიელექტროაპარატის“ სპეციალისტები მთლიანად დაამთავრებენ სოფლის ელექტრიფიკაციას.

მთის სოფელში ილიჩის ნათურები აციმციმდება.

● **ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ.** (ხაკ. კორ.). მექანიზებული სატყეო მეურნეობის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა წითელი შაბათობის დღეს შეასრულოს ოთხი თვის სახელმწიფო გეგმა.

შაბათობის მონაწილენი 4 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, ხოლო ხუთწლედის ფონდში 600 მანეთს გადარიცხავენ.

ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ დაბადების 113 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის დღეს მიიღწიონ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას — ასეთია ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის გადაწყვეტილება. შრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 1400 კაცი.

წითელი შაბათობის დღეს კოლექტივი აწარმოებს 80 ათასი მანეთის პროდუქციას. ამ დღეს გამომუშავებული თანხის ნაწილი გადაერიცხება ხუთწლედის ფონდს. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 16 აპრილს სამშობლოს უპატაკონ ხუთწლედის მესამე წლის ოთხი თვის გეგმის შესრულება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘ: ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): მადონა ბარბაქაძე, ნაირა კოკელაძე, ლალი ქათამაძე და ნატო შარიქაძე, რომლებმაც გადაწყვიტეს შაბათობის დღეს შეასრულონ 4 თვის დავალება.

Ო. ᲑᲔᲠᲔᲩᲙᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲩᲥᲔᲤᲐᲠᲔ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐᲕᲚᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲡᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲗᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ — „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲨᲘ, ᲓᲘᲡᲘᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲛᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲨᲘ“.

როგორც ცნობილია, ეს კონფერენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყო და იმ მიზნით, რომ გვქონოდა ღრმა ანალიზი, მიგვეღო ზუსტი პასუხი, თუ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების შუაგულში მოქმედებენ და იღვწიან, როგორ უნყობენ ხელს პარტიის პოლიტიკის შეერთებას მასების ცოცხალ შემოქმედებასთან, როგორ ავითარებენ კომუნისტთა აქტიურობას როგორც სამეურნეო, ისე იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კიდევ ერთი თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რა ლენინური ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდება სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიის ძირეულ კოლექტივებს, ადგილებზე შეძენილ მათი მუშაობის მრავალფეროვან პრაქტიკულ გამოცდილებას, ამ გამოცდილების ფართო განზოგადებაგავრცელებას.

ახლა, როცა უკან დარჩა საკავშირო კონფერენციის მომზადება-ჩატარების დაძაბული, მაგრამ შემოქმედებითა და ხალისით აღსავსე დღეები, შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ იგი იყო მეტად ღრმაშინაარსიანი, საქმიანი, კონსტრუქციული, ჰქონდა საინტერესო, შემოქმედებითი დისკუსიის ხასიათი. ამას კი დიდად შეუწყო ხელი ფართო წარმომადგენლობამ. კონფერენციის მუშაობაში ხომ მონაწილეობდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ქვეყნის ყველა მხარისა და ოლქის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, ცენტრალური პარტიული გამოცემების, სამეცნიერო დანესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის შესავალ და კონფერენციის დასურვისას წარმოთქმულ სიტყვებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვის მოსსენებასა და საბოლოო სიტყვაში ღრმად, მეცნიერულად არის დასაბუთებული თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის ძირეული რგოლების დიდი როლი და მოვალეობანი, მათი ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, — ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, — პირველადი ორგანიზაციები საამქრო ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ფართო ქსელით სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. მათი როლის ამაღლება უწინარეს ყოვლისა განპირობებულია ჩვენი ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებით — ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების საჭიროებით.

სწორედ ამიტომ პლენარულ სხდომებზე თუ სექციებში საფუძვლიანად და სიღრმისეულად განიხილეს პარტიის ძირეული რგოლების ორგანიზატორული, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი საქმიანობის აქტუალური საკითხები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში მოცემული დებულებისა და დასკვნების მიხედვით. კონფერენციის მონაწილეთა მეტად ფართო და გულახდილი სჯა-ბაასი შეეხო მშრომელთა სანარმოო და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარების, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, კოლექტივების ცხოვრებაზე პარტორგანიზაციათა გაელენის გაძლიერებისათვის მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების აქტიურად გამოყენების საკითხებს, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად აღინიშნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და მათდამი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, მთელი რიგი გადასაწყვეტი პრობლემები.

ძნელია ყველა იმ საყურადღებო წინადადების, რჩევის, რეკომენდაციის მარტო ჩამოთვლაც კი, რაც კონფერენციაზე ითქვა და ჩამოყალიბდა. მარტო ბოლო პლენარულ სხდომაზე მოსმენილი სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციების დასახელებაც ნათელყოფს, თუ რა აქტუალურ პრობლემებს ეხება ეს რეკომენდაციები: „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიული რიგების ზრდისათვის, კომუნისტების აქტიურობის ამაღლებისა და იდეური წრთობის გაძლიერებისათვის“ „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი და სანარმოო აქტურობის ზრდაში“, „პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება“ „მასებთან პირველადი პარტიული ორგანიზაციის კავშირის განმტკიცება და მუშაობის სტილის სრულყოფა“.

კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით, პარტორგანიზაციათა წარმომადგენლების ამ საკავშირო შეხვედრის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა გულმოდგინე მოსამზადებელმა მუშაობამ. ამასთან კონფერენციის დაწყებამდეც, მისი მუშაობის დროს და შემდეგაც ყველა შონანილეს შესაძლებლობა ჰქონდა უშუალოდ გასცნობოდა რესპუბლიკის მთელი რიგი პარტორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ცხოვრებას, იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც შეძენილია ბოლო ათნლეულში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად.

დიახ, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს დღეს ბევრი რამ აქვთ სათქმელი და სხვებისათვის საჩვენებელი. აქ თავდათავისა საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, მუშაობის შემოქმედებითი სტილი. სწორედ ამ სტილის მეოხებით მოხდა, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა რესპუბლიკის კომუნისტების, ჩვენი მშრომელების აქტიურობა, მტკიცდება პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტი, ღრმავდება შინაპარტიული დემოკრატია. ეს კი თავის მხრივ განამტკიცებს დისციპლინას. სწორედ ამ ორი ბერკეტის — დემოკრატიისა და დისციპლინის ურთიერთმოქმედებით გახდა შესაძლებელი ის დადებითი შედეგები, რომლებიც გასული ორი ხუთწლედის მანძილზე მოვიპოვეთ. მიმდინარე მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებიც დამაიმედებელია. ეს ნელი კი, რომელის სამთვანახევარი უკვე გავიდა, ხუთწლედის შუაგული ნელია. პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპმა 5,5 პროცენტი შეადგინა. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების გეგმები. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ახალ-ახალ რეზერვებს ეძებენ და ამოქმედებენ, რათა წარმატებით შესრულდეს როგორც სახელმწიფო დავალებანი, ისე მათ მიერ ნაკისრი საპატიო სოციალისტური ვალდებულებანი.

საინტერესო, სასარგებლო გამოცდილება დღეს ყველა ქალაქსა და რაიონში გვაქვს. აღსანიშნავია თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება პარტიაში შემსვლელ ახალგაზრდებთან მუშაობის მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მიონისა“ და ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა — მეცნიერული და სანარმოო შრომის მჭიდროდ დაკავშირების პრაქტიკა, გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციისა — სამუშაო ადგილზე თითოეული მშრომელის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საკადრო და სოციალური პოლიტიკის განხორციელებისათვის.... მონინავე გამოცდილების მისამართები ბევრია.

მაგრამ ეს გამოცდილება ჩვენთან ცარიელ ნიადაგზე როდი გაჩნდა. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს ასე მიმართა: „...თუ რაიმეს მიღწევა შეეძელით, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულეს მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების საუკეთესო, მონინავე გამოცდილებამ, სადაც საქართველოს კომუნისტები, ჩვენი ამხანაგები სისტემატურად ჩადიან და ადგილზე საფუძვლიანად, გულისყურით, ფაქტრით ხელში სწავლობენ ყოველივე ახალს, ყოველივე საყურადღებოს, ცდილობენ გამოიღონ ყოველივე პროგრესული, რათა შემდეგ თავისთან დანერგონ“.

კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა, მაგრამ სწორედ ახლა იწყება პირველადი პარტორგანიზაციების სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრებისათვის შეუნელებელი პრაქტიკული საქმიანობა.

ამიტომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს ორი პირობის გათვალისწინება მართებთ: პირველი — ის, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა თქვეს და გაგვიზიარეს, დაკვირვებით შევისწავლოთ, ვნახოთ, შემოქმედებითად გავიაზროთ და ავწონ-დაწონოთ. ხშირად ვამბობთ ხოლმე, ჩვენ მეგობრებისაგან ძვირფას გამოცდილებას გადმოვიღებთ, იმასაც ვიტყვით: „მეგობრობით ვართ მდიდარნი!“.

მეორე გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ საკუთარი გამოცდილებაც უნდა დავხვეწოთ, ვამდიდროთ, როგორც ნიადაგში ახალ აღმონაცენს, როგორც ახალგახარებულ ნერგს, მასაც ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ, ხელი შევუწყოთ, რომ კარგი ყლორტები ამოიყაროს.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ის კეთილი შეგონება, რომ არსად ფეხი არ უნდა მოიკიდოს ფორმალიზმმა და მოჩვენებითობამ, სხვადასხვა ზედმეტი კომისიების, ჯგუფებისა თუ შტაბების შექმნით გატაცებამ. ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობა — აი მთავარი, აი გადაუდებელი და საჭირო პარტორგანიზაციათა აქტიური საქმიანობისათვის, ყველა უბანზე პარტიული გაგლენის გაძლიერებისათვის.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენი პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები დღის წესრიგში აყენებს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა სანარმოო უბანზე კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს პარტიული კონტროლი, რომელიც მუშაკთა აღზრდისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მოითხოვა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა უკეთ გამოიყენონ წესდებით მინიჭებული უფლება.

ახლებურად დგება ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობისათვის ბრძოლის საკითხები. რა დასამალია, რომ ზოგან ჩქმალავენ გაცდენებსა და დისციპლინის სხვა დარღვევებს. პირველადი პარტიული ორგანიზაციები პრინციპულად უნდა მიუდგნენ ასეთ ფაქტებს, შეურიგებელნი იყვნენ არა მარტო დისციპლინისა და წესრიგის დამრღვევებისადმი, არამედ იმათ მიმართაც, ვინც ხელს აფარებს მათ.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მთავარი მოწოდებაა, რომ ყველა რგოლში, ყველა პარტიულ ორგანიზაციაში იღვწოდნენ მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის, კონკრეტული, ჭეშმარიტი საქმით უზრუნველყოფდნენ ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობას, სულ უფრო აუმჯობესებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას, აძლიერებდნენ კადრებისადმი ყურადღებას და მომთხოვნელობას.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ პარტორგანიზაციათა მებრძოლურობის მრავალფეროვანი საშუალებებიდან და გზებიდან ერთ-ერთი მთავარია არჩევითი პარტიული აქტივის, პირველადი პარტორგანიზაციათა მდივნების. როლის ამაღლება, პარტიულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ მათი წრთობისათვის, დიფერენცირებული სწავლებისა და ცოცხალი ინსტრუქტაჟისათვის.

ერთი სიტყვით, თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ქვეყნის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ეჭვი არ არის, რომ ამ კონფერენციის მეცნიერული რეკომენდაციები კიდევ უფრო გააქტიურებს მთელ ჩვენს შინაპარტიულ მუშაობას, ხელს შეუწყობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებას.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲗᲔᲡᲘᲐ—ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

ᲔᲡ რამდენიმე დღეა ნამი არ ჩამოვარდნილა შირაქში. წუხან მხვნელ-მთესველები — ჯეჯილი გამოიგალაო. ამის შესახებ საუბარი რომ ჩამოვუგდე რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარ აგრონომს შალვა თეთვაძეს, მითხრა: რას იზამ, ახლა ისეთი დროა, დარიც საჭიროა და ავდარიც, თუ არა ამინდი, ამოდენა საგაზაფხულო კულტურებს რა დაგვთესინებდაო. მართლაც, ასეა. მარტო უკანასკნელ ორ დეკადაში 7.800 ჰექტარზე დაითესა მზესუმზირა, 2000 ჰექტარზე სიმინდი, 21 ჰექტარზე კარტოფილი, მრავალწლოვანი ბალახები...

ზემო ქედის კოლმეურნეობას 1.600 ჰექტარი ვენახი აქვს. მარტო ყოველდღიურად 400-500 კაცის გადაყვანა თქვი სოფლიდან ვენახში! მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე ვენახში ტრიალებს ეს ამოდენა ხალხი და მაინც საქმეს ვერ აუდის. ჯეჯილსაც ხომ უნდა მიხედავ. ბავშვივით მოსავლელია. ზოგს სარეველა მოერია და აწუხებს, ზოგს თაგვი, ბზუალა და ბუგრი. თუ დროზე არ მოაცილე სატკივარი თავისას იზამს.

ჯეჯილის გამოკვებასა და მინდვრის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მხვნელ-მთესველებს დიდად დაეხმარნენ ავიატორები იოსებ სიხარულიძე, მურთაზ კუშუხიძე, ალბერტ ეფაძე და სხვები. ახლა განსაკუთრებით ორგანიზებულად, ოპერატიულად, აგროვადებისა და წესების დაცვით მუშაობენ. თუ არა ისინი, 21.000 ჰექტარი ჯეჯილის სასუქებით გამოკვებას, წმენდას რა ტრაქტორი და მუშახელი აუვიდოდა.

თავიდათავი საქმე კი მაინც საგაზაფხულო კულტურების თესვაა. წელს ისინი 20000 ჰექტარზე მეტ ფართობს დაიკავებენ.

„მკაში პირობას, ხვნაში პირობა სყობიაო“, რომ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, მართლაც რომ ასეა. კარგი ხნული, მზრალად ხნული თუ არა, უხვ მოსავალზე ლაპარაკი ზედმეტია. სწორედ ამიტომ, თითქმის მთლიანად საგაზაფხულო კულტურები მზრალად ხნულზე ითესება. ყველა კულტურის თესლი მხოლოდ პირველი და მეორე კლასისაა.

მზესუმზირა საგაზაფხულო კულტურათა შორის დედოფალია. იგი დაიკავებს ყველაზე მეტ ფართობს — თითქმის 8.000 ჰექტარს. დათესილი კი, როგორც უკვე ვთქვით, 7.800 ჰექტარზეა.

ნაგვიანევი გაზაფხულის გამო თესვა მეტად საშური საქმეა და ეშურებიან კიდეც მექანიზატორები.

— მთვარიანზეც ვთესავთ, — გვითხრა ზემოქედელმა მექანიზატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ მელიქიშვილმა. არაფერი შეეშლება მას, დღეებიც და ღამეებიც გამოთვლილი აქვს. მიხეილ ლალიაშვილის, სულიკო სუტიძის სათესი აგრეგატები დღეში ორ ნორმას ასრულებენ.

ზემოქედელები გამარჯვებულებს ეჯიბრებიან, ჯაფარიძელები — ზემომაჩხაანელებს. ვინ იყო გუშინ თესვაში პირველი, —იციან რაიონში, ვის სათეს აგრეგატზე ფრიალებს გარდამავალი დროშა — იციან კოლმეურნეობაში. ეს შრომითი გადაძახილი არ წყდება რაიონულ გაზეთში, ადგილობრივ რადიოგადაცემებში. შეჯიბრების სვე ჯაფარიძელებს მიაქვთ წინ. მათ უკვე მთელ ფართობზე დათესეს მზესუმზირა, მრავალწლოვანი ბალახები, კარტოფილი, ბოსტნეული. რაიონში პირველნი შეუდგნენ სიმინდის თესვას.

წელს რაიონში პირველად იწყებენ მუშაობას მექანიზატორთა უგანრიგო ბრიგადები. და აი, ამ საქმეშიც ინიციატივა ჯაფარიძელებმა აიღეს ხელში. სამი ბრიგადა შექმნეს. მათ გამოცდილი მექანიზატორები სერგო გიგოლაშვილი, შენგელი პაპაშვილი და პეტრე მუკირნეკო ხელმძღვანელობენ. თითოეულს ხელშეკრულებით 200-250 ჰექტარი მზესუმზირას ნათესი გაუპირობენეს, თითქმის ამდენივე სიმინდისა. მათ თესავს, მოვლას, მოყვანასა და მოსავლის აღებას მექანიზატორები კისრულობენ. შრომის საზღაურად გარკვეულ პროცენტებს ნატურით მიიღებენ, ესე იგი რასაც მეტს მოიყვანენ, მეტს მიიღებენ და ეს კიდევ უფრო აზალისებთ შრომაში.

შარშან უგანრიგო წესით კოლმეურნეობაში საკვებმომპოვებელთა ბრიგადა (ხელმძღვანელი — გ. შარმანზანაშვილი) მუშაობდა. მან იმდენი საკვები დააგროვა, რომ ამ ზამთარშიც ეყო პირუტყვს და წლეულსაც გადაპყვება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, 8.000 მანეთი ფულადი პრემია დაამსახურა. ბრიგადირს კი ურიგოდ მიეყიდა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“.

სწორედ ეს იყო საფუძველი იმისა, რომ კოლმეურნეობამ წლეულს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ორი კვარტალის გეგმა შეასრულა და მესამე კვარტალის ანგარიშში უკვე 40 ტონა ხორცი დაამზადა.

ასეა, თუ გული გიდგას...

ჯობდა, ყველა ასე იყენებდეს დროს, რეზერვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. ამჯერად თესვაზე შეჩერდებით. სოფლების გამარჯვების, ოზაანის კოლმეურნეობებს გაუპიზურდათ მზესუმზირის თესვა. ეს იმ დროს, როცა თესვის ვადები დაუდგა სიმინდს, ბაღჩეულ-ბოსტნეულ კულტურებს.

დღე კი არა, ახლა მოცდენილი ერთი საათი ტონობით დანაკარგებთან, დიდ ზარალთან არის დაკავშირებული.

ᲕᲚ. ᲛᲔᲫᲔᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠ

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკლასო
იუწყება

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

ხარისხისკენ-ვის ბრძოლა მრძელდება

ვიდრე ჩაის ფოთლის კრეფა დაიწყებოდეს

კიდევ ცოტა დრო, და დაიწყება ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. ყველა წინა სეზონისაგან დიდად განსხვავებული უნდა იყოს იგი. წლეულს ახალი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი. პრაქტიკულად უნდა უზრუნველვყოთ ქართული ჩაის ხარისხის აღდგენა.

ჩაი დიდი ბიოლოგიური შესაძლებლობის მცენარეა. მისი კვირტი მდიდარია ტანინით, კოფეინით და ბიოლოგიურად აქტიური ადამიანისათვის სასარგებლო ნივთიერებით.

იქ, სადაც აყოვნებენ კრეფის დაწყებას პირველი ვეგეტაციის თითქმის დამთავრებამდე და შემდეგ ერთდროულად კრეფენ უზეშ, გადაუხვეშებულ, ნაზ ფოთლსა და კვირტებსაც კი, თვით თევზა ფოთლის ჩათვლით, უგულებელყოფენ მეცნიერულად დასაბუთებულ ჩაის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკას. ასეთი ექსპლოატაციის შედეგად სეზონის მანძილზე ჩაის ფოთლის კრეფის ჯერადობა 14-16-დან 2-3-მდე მცირდება.

ჩაის ფოთლის კრეფის ასეთი „წესი“ დიდად საზიანოა თვით ჩაის მცენარის შემდგომი პროდუქტიულობისათვის. ასეთ შემთხვევაში ბუჩქები არ რჩება ფოთლები, რომლებიც აუცილებელი „მასაზრდოებელია“ ახალი დუყების ინტენსიური წარმოქმნისა და ბუჩქების შემდგომი ცხოველმყოფელობისათვის. უფოთლოდ მცენარეში საჭირო რაოდენობის ორგანული ნივთიერებანი არ წარმოიქმნება და მათი მარაგი არ გროვდება. მცენარე თანთადანმით ქნინდება, ფოტოსინთეზის ინტენსიურობა მნიშვნელოვნად სუსტდება. მცენარის ასეთმა ექსპლოატაციამ, თუ იგი დროულად არ შეეწყვეტეთ, მოსალოდნელია გამოიწვიოს ჩაის მცენარის ბიოლოგიურ შესაძლებლობათა ვადაზე ადრე ამოწურვა, ბუჩქების ხმობა.

ამ მეთოდით ზოგიერთები ჩაის ფოთლის პიკური შემოსვლის პერიოდში სხვადასხვა აკრძალული ხერხის გამოყენებით თითოეულ სამუშაო დღეში 250-300 კილოგრამ ჩაის ფოთოლს „კრეფდნენ“, გაუმართლებლად იღებდნენ დიდ ანაზღაურებას. პლანტაციისადმი ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულება პირველმა დაჯმო საქვეყნოდ ცნობილმა მეჩაიემ, ორგანის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს ხმარი ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა.

მართალია, ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩაის წარმოების მოცულობის გადიდებით, ვინაიდან სამამულო ჩაი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას. დაახლოებით 70 პროცენტით აკმაყოფილებს, მაგრამ რაოდენობის გამოდევნებით ხარისხი არ უნდა დაქვეითდეს. ალბათ, არ მოხერხდება, რომ ახლა დაეუბრუნდეთ 30-იანი წლების პერიოდს, როცა 2-3-ფოთლიანი დუყები იკრიფებოდა. ჩაის ფოთოლი უნდა ვკრიფოთ იმ ანგარიშით, რომ არ დავაქვეითოთ ჩაის ფოთლის წარმოების დონე და თანაც მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. მომავლის გეგმები ითვალისწინებს საქართველოში ჩაის ფოთლის დამზადების შემდგომ ზრდას, რაც ქვეყნის მოსახლეობის ამ პროდუქტზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ამდენად, ჩაის ფოთლის კრეფის საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა საერთაშორისო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სპეციალისტები. აქ შეიმუშავეს ჩაის ფოთლის კრეფის დროებითი ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ჩაის პლანტაციის საერთო მდგომარეობის, კლიმატური თავისებურებების მიხედვით და ამინდის კვალობაზე ჩაის ფოთლის კრეფა შეიძლება დაიწყოს აპრილის მეორე ნახევარში და გაგრძელდეს შუა ოქტომბრამდე.

ჩაის ფოთლის კრეფის დაგვიანება გამოიწვევს ხარისხოვანი ფოთლის დანაკარგებს (და ნედლეულის ხარისხის გაუარესებას, ხოლო კრეფის ნაადრევი დაწყებით, შემოუსვლელი ფოთლის კრეფის შედეგად მცირდება მოსავალი და სუსტდება ჩაის ბუჩქი.

ჩაის ფოთლის კრეფა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ბუჩქებზე 5-6-ფოთლიანი ყლორტების რაოდენობა 25-30 პროცენტს მიაღწევს. ეს უნდა განსაზღვროს აგროპერსონალმა.

ბუჩქის სიძლიერის მიხედვით სეზონის განმავლობაში რეკომენდებულია ჩაის ფოთლის კრეფის სხვადასხვა წესი.

5-6-ფოთლიან ყლორტებზე იკრიფება 4-5-ფოთლიანი ნორმალური და ურუ დუყები, ხოლო ნეკზე, როგორც აუცილებელი პირობა, ყოველ შემთხვევაში რჩება ერთი ნორმალური და თევზა ფოთოლი; თუ აპრილში რამე მიზეზის გამო ბუჩქებზე ყლორტები საკრეფად არა არის შემოსული, კრეფის ეს წესი ვრცელდება მაისში, თუ მაისშიც არ შემოვიდა საკრეფად ფოთოლი, კრეფის ეს წესი ვრცელდება ივნისში.

იმერეთის რაიონების პლანტაციებში, სადაც ბუჩქების სიმაღლე 50 სანტიმეტრს აღემატება, აპრილ-მაისსა და ივნისში ოთხხუთფოთლიან ყლორტებზე უნდა მოიკრიფოს სამ-ოთხფოთლიანი ნორმალური და ურუ დუყები, ნეკებზე თითო ნორმალური და თევზა ფოთლის დატოვებით.

ივლისში 4-5-ფოთლიან ყლორტებზე იკრიფება 3-4-ფოთლიანი დუყები და ნეკზე რჩება თითო ნორმალური და თევზა ფოთოლი.

აგვისტოდან სეზონის ბოლომდე 3-4-ფოთლიან ყლორტებზე იკრიფება 3-4-ფოთლიანი დუყები, ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი.

ახალგაზრდა, კარგად განვითარებულ ჩაის პლანტაციებში ფოთლის პირველი კრეფა იწყება გაშენებიდან მეოთხე-მეხუთე წელს, ხოლო ნერგებით გაშენებულ კოლხეთის ჯიშის ჩაის პლანტაციებში ერთი-ორი წლით ადრე. ახალგაზრდა სუსტ გამორგულ და დაკნინებულ ბუჩქებზე კრეფა იწყება მას შემდეგ, როცა ბუჩქები მიაღწევენ 50 სანტიმეტრ სიმაღლეს. ამასთან პირველი კრეფის დროს ვიღებთ 3-4-ფოთლიან დუყებს და ნეკზე რჩება 3-4 ფოთოლი; ბუჩქების გაძლიერების მიზნით გვერდებზე დუყები არ იკრიფება.

კოლხეთის დაბლობზე გაშენებულ ჩაის პლანტაციებში ფოთლის პირველი კრეფა იწყება მე-5-მე-6 წელს.

ნახევრად მძიმედ და მძიმედ გასხლულ ბუჩქებზე ფოთლის კრეფა იწყება მაშინ, როცა მათი სიმაღლე მიაღწევს 50 სანტიმეტრს; ვკრეფთ 3-4-ფოთლიან მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ჩაის ფაბრიკებს არა აქვთ საკმაო რაოდენობის ნედლეულის მიმღები პუნქტები, სადაც პიკის პერიოდში შესაძლებელი იქნებოდა ჩაის ფოთლის შეუფერხებლად მიღება და ფაბრიკებში გაგზავნამდე დაუზიანებლად შენახვა. ხოლო თავის მხრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ გააჩნიათ საკმაო რაოდენობის საფენი მასალები, რის გამოც მოკრეფილი ფოთოლი იმის ნაცვლად, რომ ყოველ 3-4 საათში იგზავნებოდეს ფაბრიკებში, არცთუ იშვიათად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ყრია, მკვეთრად უარესდება მისი ხარისხი. ხშირად ხდება ფოთლის გადაწვაც. ასეთი ნედლეულიდან კი ხარისხოვანი პროდუქციის მიღება შეუძლებელია.

ხშირად უხეშად ირღვევა ფაბრიკებში ფოთლის გადაზიდვის დადგენილი წესები. ნაცვლად 20-25 კილოგრამისა, სატრანსპორტო ყუთებში ჩაწყნარდეს ხოლმე 35-40 კილოგრამ ფოთოლს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც რთულ მდგომარეობას.

ფოთლის უტაროდ გადაზიდვა პროგრესული მეთოდია, მაგრამ იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ჩაის ფოთლის უტაროდ გადაზიდვა ძალზე ცუდად გაიგეს. ავტომანქანის უსუფთაო ძარებზე ყრიან და ფეხით ტკეპნიან ჩაის ფოთოლს, რის გამო ფოთლის ხარისხი უარესდება. ამასთან, მანქანების ძარებს არ ხურავენ, ტრანსპორტირების დროს ბევრი ფოთოლი იკარგება.

რესპუბლიკის 67 ათასი ჰექტარი პლანტაციიდან დაახლოებით 50 ათას ჰექტარზე ფოთლის კრეფა მცირე მექანიზაციის საშუალებით უნდა განხორციელდეს. ამიტომ დიდ მოწონებას იმსახურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, იმისათვის, რომ მობილურ მანქანებთან ერთად ფართოდ იყოს გამოყენებული მცირე მექანიზაცია. უკვე გამოჩნდნენ ხელის მოტორიზებული ჩაის საკრეფი სამამულო აპარატები. ყურადღებას იმსახურებს ინჟინერ ქადეიშვილის სისტემის ელექტრიფიცირებული მიკროაპარატი — ანასეული-2, რომელიც ბევრად სჯობია საზღვარგარეთული ანალოგს. დასანანია, რომ ვერ ხერხდება მისი დამზადება და წარმოებაში დანერგვა.

ქიმიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, ჯერ კიდევ რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების 56 პროცენტი ფოსფორის, ხოლო 52 პროცენტი კალიუმის ნაკლებობას განიცდის. ამის გამო 12-15 პროცენტით მცირდება მოსავალი და უარესდება ნედლეულის ხარისხი. ასეთ ნაკვეთებზე ამ სახის სასუქის 2-4 წლის დოზის ერთდროული შეტანა შექმნის ნიადაგის ნაყოფიერების მაღალ ფონს.

ჩაის ძველი პლანტაციების უმეტესი ნაწილი მოითხოვს მანგანუმიანი სასუქის შეტანას. ყურადღება უნდა გაძლიერდეს აგრეთვე მინერალური სასუქების დანაკარგების თავიდან აცილებისადმი (სასუქების 10 პროცენტამდე იკარგება ტრანსპორტირების დროს, ხოლო გაცილებით მეტი— არასწორი შენახვის გამო).

დადგენილია, რომ ჩაის მცენარის აგროტექნიკური ნორმებით ტენით ოპტიმალური უზრუნველყოფის პირობებში მცენარეში ძლიერდება ფოტოსინთეზი და 25-30 პროცენტით იზრდება ფოთლის მოსავალი, ამასთან უმჯობესდება მისი ხარისხი. ჩაის მცენარის ყლორტების ნორმალური წარმოქმნისათვის საჭირო ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობა ნიადაგის მთელი ტენტევადობის დაახლოებით 20 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

საერთოდ, ჩაის მცენარე სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან შედარებით ტენის ყველაზე უფრო მოყვარულია, მაგრამ იგი ოდნავადაც ვერ იტანს ზედმეტ ტენს.

დღეისათვის რესპუბლიკაში 10 ათას ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია ირწყვება. სამწუხაროდ, დაბალია სარწყავი მიწათმოქმედების კულტურა, რაც კადრების დაბალ კვალიფიკაციას უნდა მიეწეროს. ამასთან მეურნეობები არ მარაგდებიან სარწყავი სისტემის სათადარიგო ნაწილებით, სარწყავ და ურწყავ პლანტაციებში დიფერენციულად არ ხდება მოსავლის აღრიცხვა, ირწყვება აგროტექნიკური ნორმებისა და ნიადაგში ტენის მარაგის განსაზღვრის გარეშე. ხშირად არ ხდება რწყვის გრაფიკის კორექტირება ამინდის პირობებისა და ნიადაგის ტენიანობის გათვალისწინებით. სარწყავი სისტემის გაუმართაობის გამო დიდია სარწყავი წყლის დანაკარგები. ნაკლები ყურადღება ექცევა სადრენაჟო საკოლექტორო ქსელის მოვლა-პატრონობას, რაც იწვევს ჭარბტენიანობას, მცენარეების დაკნინებას, მოუსავლიანობას და ხმობასაც კი.

მეტი გულისყურითა და მზრუნველობით უნდა ვეპყრობოდეთ ჩაის პლანტაციებს. ნედლეულის ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროა ავამოქმედოთ ყველა შესაძლებლობა. პლანტაციაში ნიადაგი მუდამ უსარეველო, ფხვიერი უნდა იყოს.

გულდასმით უნდა მოვემზადოთ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის. დროულად უნდა მოვიმარაგოთ საჭირო ინვენტარი: კალათები, გოდრები და პლანტაციებიდან ფოთლის გამოსატანი სხვა ინვენტარი, სპეციფანსაცმელი, ფოთოლსაფენი ტარა; წესრიგში უნდა მოვიყვანოთ საპლანტაციო გზები და ტრანსპორტის საშუალებანი, მოვაწყოთ პლანტაციებში კვების ორგანიზაცია და სხვა.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ სამამულო ჩაის ფოთლის კრეფის რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად გავუმჯობესოთ ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხი; აი ჩვენი ძირითადი საღღეესო ამოცანა, რომელიც უთუოდ უნდა გადაწყდეს.

ვ. ჯაყელი,

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

სოციალისტურ ქვეყნებში

● **გულგარეთი**

სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით

სოფია. პერნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში დაიწყო ახალი ელექტროფოლადსამსხმელო საამქროს მეორე რიგის მშენებლობა. აქ დაამონტაჟებენ ნამზადის შეუფერხებელი სხმის კიდევ ერთ მანქანას, ორ ელექტროღუმელს.

ახალი საამქროს მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად სახალხო მეურნეობას მისცემს 1 მილიონ ტონა ფოლადის სხმულს, მიმდინარეობს სსრ კავშირის უშუალო ტექნიკური ხელშეწყობით. მისი პროექტი შეიმუშავეს მოსკოვის მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტში, მოწყობილობას კი უგზავნიან „ურალმანქანა“, ლენინგრადის „ელექტროსილა“ და საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნები. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართო გამოყენება დაზოგავს 200 მილიონ ლევ კაპიტალდაბანდებას, შეამცირებს ენერგიისა და სათბობის ხარჯვას.

ელექტროფოლადსამსხმელო საამქრო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის დარგობრივი პროგრამის განხორციელების მხოლოდ ერთი მაგალითია.

● **ჩეხოსლოვაკია**

საგაზაფხულო ალიობა

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ყანებში საგაზაფხულო ალიობაა. ქვეყნის ყველა ოლქში დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა, ფუსფფუხია სამხრეთ მორავიის ზვრებში, შუა ჩეხეთის სვიის პლანტაციებში, ვლტავისა და ლაბის ველების მებოსტნეობის მეურნეობებში.

მიმდინარე წელს ჩეხოსლოვაკიის სოფლის მშრომელების წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები. შარშანდელ უხვმოსავლიან წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს თითქმის 3 პროცენტით. მთავარი ყურადღება ეთმობა მარცვლეულის წარმოების გადიდებას.

ქვეყნის მიწათმოქმედები საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს. კარგ მდგომარეობაშია საშემოდგომო მარცვლეული და საკვები კულტურების ნათესები. მანქანების პარკის დროული რემონტისა და პროფილაქტიკის მეოხებით ოპტიმალურ და აგროტექნიკურ ვადებში მიმდინარეობს ახლა საგაზაფხულო ხორბლისა და შვრიის, სიმინდის, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესვა. რგავენ საადრეო კარტოფილს.

● **უნგრეთი**

რეკომენდაციები—წარმოებაში

ბუდაპეშტი. როცა შრომა საინტერესოა, მისი ნაყოფიერებაც იზრდება. ვეხპრემის ხელსაწყოთმშენებლობის გაერთიანება „ბაკონში“ ამ წესის თანამიმდევრულმა განხორციელებამ ათ წელიწადში ერთთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გაზარდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, რომელზეც დიდი მოთხოვნაა საზღვარგარეთის ბაზრებზე, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში.

შემობრუნების პუნქტი ჩვენს განვითარებაში, თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილემ ლასლო ბუდავარიმ, გახდა შეთანხმება საბჭოთა კავშირში ანთების კლიტეებისა და მანაფილელების, ავტომობილის მინასაწმენდისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი კვანძების მიწოდების შესახებ. მათი ხარისხისადმი მკაცრმა მოთხოვნამ, სწორფვამ, რომ უმაღლეს დონეზე შეგვესრულებინა საბჭოთა შეკვეთები, გვიბიძგა სერიოზულად მოგვეკიდა ხელი შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

ძიება დავიწყეთ თითოეული ოპერაციის საგულდაგულო შესწავლის, მოწინავეთა გამოცდილების ანალიზით. განაზოგადეს რა ეს მონაცემები, სოციალისტებმა განსაზღვრეს თითოეული მუშაკის შრომითი საქმიანობის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმი.

პრაქტიკაში სპეციალისტთა რეკომენდაციების დანერგვამ შესაძლებლობა მოგვცა დამატებითი კაპიტალდაბანდებების გარეშე მკვეთრად აგვემაღლებინა წარმოების ეფექტიანობა, ამ მიმართულებით მუშაობა დღესაც არ წყდება.

ფოტოფაქტი

ამერიკის ნამდვილი სახე

იმპერიალიზმის ისტორია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების: ომებისა და აგრესიის, მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის, ვერაგული სახელმწიფო გადატრიალებების გრძელი ჯაჭვია. ამგვარ ბოროტმოქმედებათა სია, ალბათ, რამდენიმე სქელტანიანი ტომი გამოვიდოდა. განსაკუთრებული თავხედობითა და სისასტიკით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატების და მათი ხელქვეითების სისხლიანი დანაშაულობანი ბოლო ათწლეულებში. ადამიანთა მეხსიერებაში ჯერაც არ ნაშლილა ამერიკელ ჯალათთა მიერ 1968 წლის მარტში ვიეტნამის სონგმის თემში განხორციელებული სისხლიანი აქცია, როცა მხეცურად მოკლეს 504 ქალი, მოხუცი და ბავშვი (მარცხენა სურათი), ხოლო თემის სოფლები სულ ერთიანად გადაბუგეს.

მარჯვენა ფოტოზე, რომელიც ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გაავრცელა, ანალოგიური სურათია აღბეჭდილი. მაგრამ ეს უკვე 1982 წლის სექტემბერში მოხდა. მოქმედების ადგილია პალესტინელ ლტოლვილთა საბრისა და შათილის ბანაკები ლიბანში. მსხვერპლი იგივეა, რაც ვიეტნამში — უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებლები. დამნაშავე — ისრაელი ოკუპანტები და მათი ადგილობრივი დამქაშები, რომელთა ზურგს უკან იგივე ამერიკის იმპერიალიზმი დგას.



ამერიკის არმიის ჯარისკაცი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხებისათვის სისასტიკისა და ძალმომრეობის განსახიერებად იქცა. (სურათზე ზემოთ).





● **ვიეტნამ-ჩინეთი**

საპროტესტო ნოტა

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ვიეტნამის ტერიტორიაზე ჩინეთის შეიარაღებული შეჭრის გამო, რომელიც განხორციელდა მარტის ბოლოს და აპრილის დამდეგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მოსაზღვრე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შვიდსავე პროვინციაში.

ნოტაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მხარის ეს მოქმედება აშფოთებს დაძაბულობას საზღვარზე და ხელს უშლის ვიეტნამ-ჩინეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნას.

დემოგრაფია

ჰელსინკი. ფინეთის დედაქალაქის მოსახლეობა 1982 წელს 1011-ით გაიზარდა და მისმა მოსახლეობამ 484 ათასს მიაღწია.

ოტავა. კანადის მოსახლეობამ 1983 წლის 1 იანვრისათვის 24 მილიონ 739 ათას 400 შეადგინა. გასულ წელს ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 240 ათას 500-ით გაიზარდა.

ლიმა. ეკვადორის მოსახლეობა ამჟამად 8 მილიონ 25 ათასს შეადგენს. ასეთია მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგები. მოსახლეობის ზრდის ტემპი შემცირდა 2,8 პროცენტამდე (1974 წელს ზრდა 3,4 პროცენტს აღწევდა). ქვეყნის უდიდესი ქალაქებია ნავსადგური გუაიაკილი (1 მილიონ 175 ათასი მაცხოვრებელი) და დედაქალაქი კიტო (859 ათასი).

„კარლ მარქსი და სოციოლოგიური მეცნიერება“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „კარლ მარქსი და სოციოლოგიური მეცნიერება“, რომელიც მიეძღვნა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის დაბადების 165 წლისთავსა და გარდაცვალების 100 წლისთავს. კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა და საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის საქართველოს განყოფილებამ.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტმა, იურიდიული მეცნიერების დოქტორმა თ. შაგულიძემ.

მოხსენება „პიროვნების სოციალური აქტიურობის პრობლემები კ. მარქსის შრომებში“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. კაკნაძემ. სოციოლოგიური მეცნიერების განვითარებაში გენიალური მოაზროვნის თეორიული მემკვიდრეობის მნიშვნელობას უძღვნა თავისი გამოსვლა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. მენაბდიშვილმა. „პიროვნების გაუცხოების პრობლემები კ. მარქსის ნაშრომებში“ — ამ თემაზე გააკეთა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის ასისტენტმა ვ. გოროზიამ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ბ. თოდრიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა საკითხს „კ. მარქსი და დამნაშავეობის სოციოლოგია“.

საქართველოს კომპარტიის ჭედის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ჭედის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ჭედის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ნ. თავდგირიძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ჭედის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. მ. ა. მახარაძე.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე.

(საქინფორმი).

მუშაობის ლენინური სტილისათვის

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს წიგნი „დავამკვიდროთ ლენინური სტილი პარტიულ მუშაობაში“.

წიგნში შევიდა 1981-1982 წლების ნაწარმოებები. ავტორი ღრმად აანალიზებს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის პროცესებს, აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ძირეულ საკითხებს, პარტიისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს აღმშენებლობის მუშაობას სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ბურჟუაზიული კონცეფციის კრიტიკას, სოციალისტური და ბურჟუაზიული ცხოვრების წესების შედარებას.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის 1983 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლები

	ქალაქებისა და რაიონების დასახელება	კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ათვისება პროცენტებით	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება პროც. სულ	მათ შორის: საბინაო მშენებლობა	სასკოლო	საბავშვო ბაღების დაფინანსება	პროფტექ. განათლება	ჯანმრთელობის დაცვა	საცხოვრებელი ფართობის გადაცემა კვ. მეტრი. I კვარტალის გეგმა	ფაქტობრივად I კვარტალში
	სულ რესპუბლიკაში	94	94	98	98	105	114	96	92226	55228
	ქალაქები									
	თბილისი	116	114	110	97	116	110	152	66556	36354
	ბათუმი	87	87	80	63	—	—	55	3072	—
	გაგრა	92	102	121	52	135	—	91	—	—
	გორი	111	108	119	166	—	—	—	—	800
	ზუგდიდი	87	96	63	25	—	—	118	—	—
	ქუთაისი	132	107	100	—	166	—	105	6564	7624
	ფოთი	100	88	86	—	—	—	133	—	—
	რუსთავი	102	109	125	173	98	—	—	6651	6651
	სოხუმი	92	87	93	—	25	—	89	3456	—
	ტყვარჩელი	107	92	88	—	—	—	—	—	—
	ტყიბული	90	100	58	140	—	—	81	—	—
	წყალტუბო	73	87	80	31	—	—	121	—	—
	ცხინვალი	49	48	66	—	—	—	—	—	—
	ჭიათურა	101	94	97	127	—	—	61	2309	2309
	რაიონები									
	აბაშის	58	66	47	72	—	—	—	—	—
	ადიგენის	52	74	—	—	—	—	—	—	—
	ამბროლაურის	89	—	—	—	—	—	—	—	—
	ასპინძის	154	80	—	—	—	—	—	—	—
	ახალქალაქის	19	23	—	—	—	—	—	—	—
	ახალციხის	72	117	14	122	—	—	—	—	—
	ახმეტის	149	—	76	—	—	—	—	—	—
	გოგდანოვკის	29	35	—	—	—	—	—	—	—
	გოლნისის	105	96	101	122	—	181	118	—	—
	გორჯომის	63	111	76	—	60	133	—	—	—
	ვანის	112	139	—	113	—	—	122	—	—
	გალის	66	71	30	115	—	—	—	824	—
	გარდაბნის	90	107	77	182	—	—	20	—	—
	გეგეჭკორის	116	148	106	—	250	—	—	772	—
	გორის	90	91	120	—	—	—	—	—	—
	გუდაუთის	74	87	46	—	—	157	90	—	—
	გურჯაანის	131	169	89	112	—	—	166	—	—
	გულრიფშის	91	91	79	—	—	—	—	—	—
	ჯავის	77	116	—	—	—	—	—	—	—
	დმანისის	93	96	175	140	—	—	86	—	—
	დუშეთის	130	157	50	—	115	—	—	—	—
	ზესტაფონის	73	76	60	38	—	—	100	—	—
	ზუგდიდის	61	67	131	—	125	100	—	—	—
	ნაურის	18	25	—	—	—	—	—	—	—
	ქარელის	79	84	80	—	100	—	—	—	—
	კასპის	93	100	146	—	141	—	—	1335	1335
	ყვარლის	97	77	—	100	—	—	50	—	—
	აბაშის	33	15	—	—	—	—	—	—	—
	ქედის	21	24	—	47	—	—	—	—	—
	ქობულეთის	82	80	68	—	—	—	82	412	—
	ლაგოდეხის	131	117	102	97	—	—	130	—	—
	ლანჩხუთის	76	90	107	—	—	—	—	—	—
	ლენინგორის	94	110	—	—	—	—	—	—	—
	ლენტეხის	122	104	—	40	—	—	—	—	—
	მარნეულის	83	92	103	—	171	—	—	—	—
	მახარაძის	57	60	25	100	—	—	—	—	—
	მაიაკოვსკის	68	84	—	—	56	172	—	—	—
	მესტიის	18	17	—	—	—	—	—	—	—
	მცხეთის	67	82	66	—	—	—	—	—	—
	ოზის	46	61	—	123	—	—	—	—	—
	ორჯონიკიძის	16	20	49	—	—	—	—	—	—
	ონიამჩირის	114	106	62	—	—	—	63	120	—
	საბარეჯოს	110	117	117	166	—	—	16	—	—
	სამტრედიის	86	93	—	—	—	—	150	—	—
	საჩხერის	97	69	70	181	—	—	—	—	—
	სიღნაღის	133	114	107	50	159	—	—	—	—
	სოხუმის	107	125	—	15	—	—	152	—	—
	თელავის	91	91	115	142	—	—	105	—	—
	თერჯოლის	79	55	120	—	23	—	—	—	—
	თეთრი წყაროს	91	82	33	83	60	—	—	—	—
	თიანეთის	96	184	—	—	—	—	—	—	—
	ხაშურის	195	138	66	—	108	—	30	—	—
	ხელვაჩაურის	93	107	109	—	58	—	175	—	—
	ხობის	71	83	39	48	35	—	42	—	—
	ხულოს	30	33	18	—	—	—	—	—	—
	ცაგერის	125	70	—	—	—	—	—	—	—
	წალენჯიხის	83	85	—	—	—	—	—	—	—
	წალკის	40	53	—	73	30	—	42	—	—
	წითელწყაროს	87	90	90	—	—	—	—

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

„საქსახსოფლტექნიკისა“ და „საქსოფლქიმიის“ სისტემათა მთელ რიგ საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის საკითხებზე დარღვევა-ნაკლოვანებათა შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

გამოირკვა, რომ „საქსახსოფლტექნიკისა“ და „საქსოფლქიმიის“ მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვისა და მისი სწორი ექსპლოატაციის მიზნით განხორციელებულ მთელ რიგ ღონისძიებათა მიუხედავად, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა ერთ ნაწილში შრომის ცუდი ორგანიზაციის, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის დაქვეითების შედეგად, უხეშად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვის წესები, ხშირია ნაადრევად ჩამოწერის ფაქტები.

„საქსახსოფლტექნიკის“ ასპინძის რაიონული გაერთიანების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო მინდვრად ყრია 4,3 ათასი მანეთის სხვადასხვა ტექნიკა. ამავე გაერთიანებაში გაძარცვულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის საერთო ღირებულება 18,7 ათას მანეთს აღემატება. უხეშად არის დარღვეული ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების შენახვის წესები, შეუზეთავი, ღვედებშეუხსნელი და მოუვლელია 12 სკ-5 მარკის კომბაინი.

სერიოზულ დარღვევებსა და დანაშაულებრივ ფაქტებს ვხვდებით „საქსახსოფლტექნიკის“ აბაშის ენერგოტევადი ტრაქტორების სარემონტო ქარხანაში, ქარელისა და სიღნაღის რაიონულ გაერთიანებებში. ტრაქტორების განკომპლექტების კვალის დაფარვის მიზნით ქარელის, საგარეჯოსა და სიღნაღის გაერთიანებებიდან აბაშის ქარხანაში შეზიდეს 6 კ-700 მარკისა და ტ-150 მარკის ტრაქტორი, რომელთა უმეტესობა ტექნიკური მდგომარეობით არ ექვემდებარებოდა სარემონტოდ მიღების პირობებს. ქარელის რაიონული გაერთიანებიდან ტრაქტორს აკლდა 1338 მანეთის 11 დასახელების, ხოლო სიღნაღის რაიონული გაერთიანებიდან მიღებულ 4 ტრაქტორს 2284 მანეთის 30 დასახელების სხვადასხვა კვანძი და დეტალი.

ტექნიკას მოვლა უნდა

აბაშის სარემონტო ქარხნის ხელმძღვანელთა დაუდევრობით და ხელშეწყობით ქარხნის ეზოში დამატებით განაკომპლექტეს სარემონტოდ მიღებული ენერგოტევადობის ზემოაღნიშნული ტრაქტორები, მათ შორის ქარელის რაიგაერთიანებიდან მიღებულ ტრაქტორს მოხსნეს 1341 მანეთის 8 დასახელების, საგარეჯოს გაერთიანებიდან მიღებულ 761 მანეთის 13 დასახელების, ხოლო სიღნაღის რაიონიდან შემოზიდულ 4 ტრაქტორს — 2030 მანეთის 22 დასახელების კვანძები და დეტალები. ამჟამად ქარხნის ტერიტორიაზე უწესრიგოდ ყრია 56 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულების დაშლილი და განკომპლექტებული ენერგოტევადი ტრაქტორები, რომელთა აღდგენა საეჭვოა.

„საქსახსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული გაერთიანების 2კ-700 მარკის ტრაქტორს უმუშავია 1978 წლიდან, საგარეჯოს გაერთიანების ტრაქტორს — 1981 წლიდან, ხოლო ქარელის გაერთიანების ტრაქტორს — 1982 წლიდან. უმოქმედო ტრაქტორებზე დარიცხულმა საამორტიზაციო თანხამ 20,1 ათასი მანეთი შეადგინა.

„საქსოფლქიმიის“ წითელწყაროს რაიონული გაერთიანების ხელმძღვანელობამ კანონმდებლობის უხეში დარღვევით ბალანსიდან საამორტიზაციო ვადაზე ადრე 9,6 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩამოწერა, რითაც საწარმომ 1717 მანეთი იზარალა.

ამავე გაერთიანებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შენახვის წესების დაუცველობით სხვადასხვა დასახელების მალეფუძებადი ნაწილები დაჟანგული და გამოსულია მწყობრიდან. სხვადასხვა მიზეზით შარშან არ უმუშავია გაერთიანების 5 სხვადასხვა მარკის ტრაქტორს, 2 სასუქების ნიადაგში შემტან აგრეგატს და სხვა მანქანა-იარაღებს.

„საქსოფლმანქანის“ ქარხნის მიერ საპირო რაოდენობით სათადარიგო ნაწილების მოუწოდებლობამ და ადგილებზე შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობამ საგრძნობლად შეაფერხა ჩაის საკრეფი მანქანების რემონტის გეგმების შესრულება. მიმდინარე წელს იანვარში ზუგდიდის სეზიციალიზებულ სარემონტო სახელოსნოში ნაცვლად 31 მანქანისა გაარემონტეს მხოლოდ 2. ანალოგიური მდგომარეობა იყო მახარაძის სპეციალიზებულ სარემონტო სახელოსნოში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ საკითხზე გაეგზავნა „საქსახსოფლტექნიკას“ (ა. სეხნიაშვილს, ვ. ყანაბაშვილს) და რესპუბლიკური საწარმოო სამეურნეო გაერთიანება „საქსოფლქიმიას“ (დ. კოლელაშვილს) და მათი ყურადღება მიეპყრო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლოატაციის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, „საქსახსოფლტექნიკის“ სიღნაღისა და ქარელის რაიონულ გაერთიანებათა მმართველებს გ. ჯანყარაშვილსა და ა. ნოზაძეს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო სიღნაღის რაიონული გაერთიანების წნორის განყოფილების მმართველს ი. შაიშმელაშვილს და ქარელის რაიონული გაერთიანებიდან შემტან აგრეგატს და სხვა მანქანა-იარაღებს.

ქარხანაში ტრაქტორების სარემონტოდ მიღების ტექნიკური პირობების დარღვევისათვის, რემონტის ვადების გაჭიანურებისა და განკომპლექტებისათვის აბაშის ენერგოტევადი ტრაქტორების სარემონტო ქარხნის დირექტორს რ. ჯანუაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ქარხნის მთავარ ინჟინერს ს. გეგუჩაძეს — სასტიკი საყვედური.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვის საქმისადმი უპასუხისმგებლო „დამოკიდებულებისათვის „საქსახსოფლტექნიკის“ ასპინძის რაიონული გაერთიანების მმართველს და მთავარ ინჟინერს თ. თათეშვილსა და ჯ. ხმალაძეს გამოეცხადათ საყვედური.

ტექნიკის ვადაზე ადრე ჩამოწერის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი — 1,7 ათასი მანეთის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით „საქსოფლქიმიის“ წითელწყაროს რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეს თ. ქადაგიძეს დაერიცხა ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთი 440 მანეთის ოდენობით.

„საქსოფლქიმის“ წითელწყაროს რაიონული გაერთიანების ყოფილი მთავარი ინჟინრის მ. კვანტარაძის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა წითელწყაროს რაიონულ კომიტეტს.

„საქსახსოფლტექნიკის“ აბაშის ენერგოტევადი ტრაქტორების სარემონტო ქარხანაში, ქარელის, სიღნაღისა და ასპინძის რაიონულ გაერთიანებებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განკომპლექტების საქმეში დაშნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი შემდგომი გამოძიებისათვის გადაეცა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურას.

ანგარიშგება-არჩევნები

იმსჯელეს მეშახტე კონტროლიორებმა

საერთო საგანრიგოში ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის თითქმის ყველა მრომელი შეიკრიბა. მათ ანგარიშს აბარებდა სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, ცნობილი ტყიბულელი მეშახტე დანიელ შვანგირაძე. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ჯგუფის ყველა კონტროლიორი კომუნისტური შრომის დამკვრელი, თითით საჩვენებელი სამთოელია. ისინი კეთილსინდისიერად, საქმის ცოდნით ასრულებენ ამ საპატიო და პასუხსაგებ საზოგადოებრივ დავალებას.

სწორედ ჯგუფის უნარიანმა მუშაობამ შეუწყო ხელი იმას, რომ უბნის კოლექტივმა შესანიშნავ შრომითის წარმატებას მიაღწია საანგარიშო პერიოდში. მარტო შარშან მესამეუბნელებმა გეგმის გადამეტებით 5.715 ტონა ქვანახშირი ამოიღეს და წლიური დავალება 106,8 პროცენტით შეასრულეს. ხუთწლედის შუალედი წლის სტარტიც კარგია. იანვრის გეგმა წარმატებით შესრულდა. საქმე თებერვალშიც ჩინებულად მიდიოდა. შრომის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ის კომუნისტური შრომის ბრიგადა დგას, რომელსაც სახელგანთქმული მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აქტიური სახალხო კონტროლიორი ე. სვანიძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ შარშან გეგმის გადამეტებით 2185 ტონა ქვანახშირი ამოიღო. ე. სვანიძის ბრიგადას ტოლს არ უდებს მეშახტეთა „ისკომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ძველი მეშახტე გ. ღრუბელაშვილი თავკაცობს.

კრებაზე აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლიორებმა ამ უკანასკნელ ხანს მკვეთრად გააუმჯობესეს მუშაობა, შემოწმების ორგანიზაცია, მისი ხარისხი და ეფექტიანობა. საანგარიშო პერიოდში 40-მდე რეიდი და შემოწმება იყო გათვალისწინებული პერსპექტიული გეგმით, რომელიც მთლიანად შესრულდა. კონტროლიორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმებმა. ხშირად ეწყობოდა რეიდები შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის დანაკარგების, სამთო ტექნიკის მოვლა-გამოყენების, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესების, ენერგორესურსების რაციონალური ხარჯვისა და სხვა საკითხების შესასწავლად. გამოვლენილი ნაკლოვანებანი სახალხო კონტროლის ჯგუფის სხდომაზე. ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა, ხოლო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა აღემატებოდა ჯგუფის შესაძლებლობას, ისმებოდა შახტის დირექციისა და პარტბიუროს წინაშე.

გასული წლის თებერვალში გუშაგებმა შეამჩნიეს, რომ უბანში გაუარესდა მონგრეული ქვანახშირის ხარისხი. საკითხის შემოწმება ყველაზე გამოცდილ კონტროლიორს გ. ღრუბელაშვილს მიანდეს. მანაც არ დაიყოვნა, ორ აქტივისტ მეშახტესთან ერთად ყველა მიწისქვეშა სანგრევი შემოიარა და გულდასმით დათვალიერა. მიზეზი მალე დადგინდა. ყურადღება არ ექცეოდა მონგრეული ნახშირიდან ფუკი ქანის გამოცალკევებას, ნახშირის ტრანსპორტირებისათვის იყენებდნენ წყლის ნაკადს, რაც ანგვიანებდა ენერგეტიკულ სათბობს და ხარისხს უკარგავდა მას. აღნიშნული დარღვევების შესახებ იმსჯელეს ჯგუფის კრებაზე. კონტროლიორების მოთხოვნით მოგვარდა მონგრეული ნახშირის უშუალოდ სანგრევში გამდიდრების საკითხი, აღიკვეთა წყლის ნაკადის სანგრევში შეშვება. კრების მონაწილეთა სურვილით ყოველი კვირის პარასკევი გამოცხადდა ხარისხის დღედ. ამ დღეს უბნის „ყველა კონტროლიორს ეძლევა დავალება დაათვალიეროს ქვანახშირის მონგრევისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროცესი, ძირშივე აღკვეთოს ყველა შემჩნეული ნაკლი. სქემისადმი ასეთმა მიდგომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. სათბობის ხარისხი თანდათან გაუმჯობესდა, იკლო რეკლამაციებმა.

კრებაზე მოიყვანეს კონტროლიორთა კეთილი საქმიანობის სხვა მაგალითიც. ითქვა, რომ კომუნისტი კონტროლიორი ე. სვანიძე დიდხანს სწავლობდა ლითონის სამაგრი მასალის ხელმეორედ გამოყენების საკითხს და ერთ დღეს შაავისი მოსაზრება უბნის კოლექტივს გააცნო. მისი წინადადებით ბრიგადის წევრებს ეგრეთ წოდებული გამომუშავებული გვირაბებიდან უნდა გამოეღოთ ლითონის ყველა სამაგრი. შეთავაზებული სქემა კარგი გამოდგა. მალე მას დაეუფლნენ მეშახტეები და შედეგმაც არ დაიყოვნა. შარშან მესამეუბნელებმა მიტოვებული გვირაბებიდან ლითონის ძვირადღირებული სამაგრის 594 კომპლექტი გამოიტანეს. აქედან 466 კომპლექტი მეშახტეებმა ხელმეორედ გამოიყენეს, ხოლო 128 ცალი უვარგისი, დეფორმირებული სამაგრი ჯართად ჩაბარეს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კონტროლიორთა კეთილი საქმიანობის მრავალი სხვა მაგალითი მოიყვანეს. ამავე დროს კამათის მონაწილეებმა, მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსმა უ. კუბლაშვილმა, მებიგეემ ს. რიეიმაძემ, გვირაბგამყვანმა ფ. კუბლაშვილმა, შახტის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარემ ს. ბოცვაძემ და სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორმა გ. გორდეზიანმა პრინციპული პოზიციებიდან, როგორც იტყვიან, ჯანსაღი კრიტიკის ქურაში გაატარეს სახალხო კონტროლის საუბნო ჯგუფის მუშაობის ჩრდილოვანი მხარეები, აუარადღება გაამახვილეს გადასაწყვეტ საკითხებზე. კერძოდ, მათ თქვეს, რომ სახალხო კონტროლის საუბნო ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ ურიგდებიან ადგილზე არსებულ დარღვევებს, ზოგიერთი კონტროლიორი არ იჩენს ინიციატივას, ნაკლებად იბრძვის უყაირათობის წინააღმდეგ და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის.

კრების მონაწილეებმა სახალხო კონტროლიორებს ახალი დავალებები დაუსახეს, მათი ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს იმაზე, რომ საჭიროა ამაღლდეს საწარმოო და შრომის დისციპლინა, შემცირდეს ამოღებული ქვანახშირის თვითღირებულება, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი.

გადახალისდა კონტროლის საუბნო ჯგუფის შემადგენლობა. ჯგუფის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია დ. შვანგირაძე.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 186

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

ქარხანა „თბილისხელსაწყოს“ დირექცია, პარტიული ორგანიზაცია

ქარხანა „თბილისხელსაწყოს“ მიერ უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტს ეხებოდა ჩვენი გაზეთის ხპეციალურ გვერდზე „ხალხის ფხიზელი თვალი“ დაბეჭდილი კარიკატურა, რომლის გამო ქარხნის დირექტორი ო. მაისაშვილი და პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ენდელაძე რედაქციას წერენ:

„გაზეთის კრიტიკული გამოსვლა განიხილა პარტიულმა კომიტეტმა. პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების უზრუნველსაყოფად ქარხანაში შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულებისადმი კონტროლი დაევალათ საწარმოს მთავარ სპეციალისტებს. შემოღებულ იქნა მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის პრემიების მიცემის ახალი მეთოდი. ის მუშაკები, რომელთა მიზეზით ქარხანამ იზარალა, დაისჯნენ. ელექტროენერგიის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური შტაბი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში პრესის საშუალებით იუწყებოდა, რომ საქართველოს მდინარეებში წყლის დონის მკვეთრი დაკლების გამო ელექტროენერგიის დეფიციტი შეიქმნა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად მოსახლეობაში გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება. შტაბი მოსახლეობასა და საწარმოო-დაწესებულებებს მოუწოდებდა მომჭირნედ ეხარჯათ ელექტროენერგია, დაეზოგათ სათბობ-ენერგეტიკული რესურსები.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ პრობლემას მშრომელები შეგნებულად შეხვდნენ და მომჭირნეობის გზას დაადგნენ. მაკონტროლებელმა ორგანოებმა მოუხშირეს რეიდებს, ამხილეს უსულგულო მომხმარებლები. რა თქმა უნდა, თავის მხრივ, ხმა აღიმაღლეს საქმთავარენერგოს მუშაკებმაც. მაგალითად, საქმთავარენერგოს ენერგოგასაღების აჭარის საოლქო განყოფილების უფროსმა ი. ჩახვაძემ, „საბჭოთა აჭარაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ამხილა „ბათუმმრეწვეაჭრობის“ რამდენიმე მაღაზია, სადაც დღისით ნათურები ენთოთ, ქალაქის ერთ-ერთ სახაჟაპურეში ღუმელს გასათბობად იყენებდნენ; თამბაქოს ფაბრიკაში შესვენების დროს სავენტილაციო ქსელი გამორთული არ ჰქონდათ და ა. შ.

როცა ამ სტატიას ვკითხულობდი, უნებურად გამახსენდა ერთი ქართული ანდაზა — ხედავენ დათუს და ეძებენ კვალსო. მაგალითისათვის ი. ჩახვაძემ მოიყვანა საამქრო, სადაც მავნე აირები გროვდება და არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ ქედის რაიონში ელექტროენერგიის აღრიცხვის საქმეში სრული ქაოსია და დანაშაულებრივად ანიავებდნენ მილიონობით კილოვატსაათ ელექტროენერგიას. შემოსული სიგნალის შესამოწმებლად აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლთან ერთად ქედის რაიონში წავედი. ამჟამად ჩვენ ხელთ არის ენერგოგასაღების ქედის სარეალიზაციო უბნის ოსტატის მ. თავდგირიძის მიერ შედგენილი აქტების ასლები. დადგინდა, რომ 1982 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ამ ოსტატმა 1.200.000 კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგიის ღირებულება გადაახდევინეს, რამაც 28.316 მანეთი შეადგინა. ასეთივე მდგომარეობაა დანდალოსა და ცხმორისის კოლმეურნეობათა ფერმებში და სხვა ობიექტებზე. გარდა ამისა, რაიონში მრავლად აქვთ სადურგლო დაზგები და საშემდეგ ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვა, ორმაგსეტიანი ტარიფებ-ლიანი ელ. ანგარიშები, ელ. ინფორმაციული ფაქტორები, ელ. ინფორმაციული ფაქტორების ინ-ფორმაციული ფაქტორების ინ-ფორმაციული ფაქტორების ინ-

ხმა გულისა

კულტურის ოსტატები

ვინც ნანი ბრეგვაძის კონცერტებზე ყოფილა, რა თქმა უნდა, შენიშნავდა, როგორ ერთბაშად, სცენაზე გამოჩენისთანავე, ხმის ამოღებისთანავე იპყრობს იგი დარბაზს. ნანისათვის გამორჩეულად დამახასიათებელია სისადავე და დიდებულება, მოკრძალება და სიამაყე. ი, დგას იგი როიალთან, ისეთი უმშეო და ამავე დროს ძლიერი, თითქოს თვით სრულყოფილება გამოსჭვივის ყველაფერში — იქნება ეს მოძრაობის მშვიდი გრაცია, მკაცრი, ერთი ფერის (შავი ან თეთრი) კაბები თუ ხმა — ხან ნაზი და ვნებები აღსავსე, ვითარცა მიჯნურისა, ხან მკვეთრი და მკერდიდან ამოხეთქილი, ვითარცა კიკვი სულისა. საქართველოს სახალხო არტისტს ნანი ბრეგვაძეს არა მარტო უნდა უსმენდე, არამედ აუცილებლად უნდა უყურებდე კიდეც. როცა იგი ძველ რომანსებს ასრულებს, მის ხელოვნებაში დახვსებულობის ნასახიც არ ჩანს, იგი ოდნავადაც არ ცდილობს განწრახ აუუყოს მსმენელს გული. ყოველთვის, როცა ამ მომღერალს უსმენ, გაოცებს მუსიკისა და ტექსტის შეზმატკბილების მისეული უნარი, ისე ზუსტად წარმოაჩენს ნაწარმოებების არსს, რომ თითოეული მათგანის იდეალ აზრს სწვდები. იგი რომანსს არა მარტო მღერის, არამედ „თამაშობს“ კიდეც, ნამდვილ მუსიკალურ დრამატულ მინიატურებს ქმნის.

რომანსს აუცილებლად თან სდევს სანტიმენტალობა. მაგრამ ნაკლად ნუ ჩაგუთვლით ამას. მადლი მოვახსენოთ რომანსს, რომ ასეთ ნეტარებას გვანიჭებს.

— ახლა ხშირად იტყვიან ხოლმე, ხელოვნებას სულიერი საწყისი მოაკლდაო, — ამბობს ნანი. — ეს მე მგონი, მეტისმეტი რაციონალიზმისა და პრაგმატიზმის ფედეგი უნდა იყოს, რამაც არ შეიძლება გული არ გატკინოს. რომანსი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოსდა მარტივი მუსიკალური ნაწარმოებია, ისეთ შინაგან დაძაბულობას შეიცავს, რომელიც ადამიანს ერთფეროვან ყოფასა და გულგრილ ინგარიშიანობაზე, რომანსი თავისებური პროტესტია ადამიანთა ურთიერთობის პრიმიტიულობისა და წვრილმანი გრძნობების წინააღმდეგ. რომანსი მარად გულთბილობის, ღრმა ურთიერთობის, ადამიანური ყურადღებისა და გულისხმიერების მოყადებელია. ყველაფერს, რასაც ვმღერი, განვიცდი როგორც საკუთარ ამბავს, თითქოს ყველაფერი ეს ჩემს ცხოვრებაში მომხდარიყოს. მე ვცდილობ ჩემი რომანსით მსმენელს გავუღვიძო „შშვენიერი ადამიანური სულისა“.

საქართველოში უყვავრთ რუსული რომანსი და კარგადაც მღერიან. ამ ჟანრის ისტორიაში საპატიო ადგილი უკავიათ ცნობილ მომღერლებს თამარ წერეთელსა და ქეთო ჯაფარიძეს. შემოქმედებით ესტაფეტასავით ჩაბარა ნანი ბრეგვაძემ თამარ წერეთლისაგან. ბ. პროზოროვსკის რომანსის „დამბრუნდის“ ნოტები, რომელსაც მომღერალმა გაუკეთა წარწერა, ლაკონიური და შორსმჭვრეტელური: „ესტრადის დედოფალს“.

რომანსებში, რომლებსაც ბრეგვაძე მღერის, იგი ცდილობს აუცილებლად იპოვოს და გამოაკლინოს ცხოველმყოფელი საწყისი. ღრმად დრამატული თემის ნაწარმოებებშიც კი მისთვის ორგანულად უცნოა უსაშველობის გრძნობა. მომღერლის გულს განსაკუთრებით ესალბუნება ადამიანის უსაზღვრო სიდიადის თემა— იქნება ეს სიყვარული, ერთგულება, თავდადება, გმირობის წყურვილი თუ უანგარო მეგობრობა. ამასთან იგი ავლენს არა მარტო დახვეწილ ვოკალურ ოსტატობას, არამედ ფაქიზ არტისტიზმსაც, ძუნწი საშუალებებით გამომსახველი განზოგადებული პლასტიკური ხატის შექმნის უნარს. თანაც ეს ხატი საილუსტრაციო, შემოტაყუებული კი არ არის, არამედ — ცხადი, თვალსაჩინო, ფსიქოლოგიურად მართალი. მისი ხელოვნება საოცრად ადამიანურია, რადგან გულწრფელია. იგი ცხოვრებაშიც ასეთია — მოკრძალებული, ძლიერი და საამედო.

— სიმღერა ჩემთვის ყოველთვის ისეგე ბუნებრივი იყო, როგორც სუნთქვა, — ამბობს ნანი. — მაგრამ მომღერლის კარიერაზე თაედაპირველად არც კი მიფიქრია, ეოცებრობდი პიანისტობას.

მომავალმა მომღერალმა დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი, შემდეგ თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით, ამასთან პედაგოგები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლობდა, როცა ნანი მომღერლად მოგვეკლინა პოლტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ორკესტრში, თავი იჩინა ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა. 1957 წელს მოსკოვის ახალგაზრდათა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე მან მიიღო ლაურეატის წოდება გ. ბზვანელის სიმღერის „ჩავაქრე სანთელის“ შესრულებისათვის. 1964 წელს ნანი ანსამბლ „ორერას“ სოლისტი ხდება.

ნანი ბრეგვაძე შესანიშნავად გრძნობს სიმღერის ტექსტს, ყოველი სიტყვის მნიშვნელობას, ფრაზის დრამატურგიას. მომღერალი ეძებს არა მარტო ტონებს, არამედ ნახევარტონებს, არა მარტო სწორ ინტონაციას, არამედ ძის უფაქიზეს ხიუანსებსაც კი, რომლებიც ზუსტად გადმოსცემენ გრძნობათა მრავალფეროვნებას, სხვადასხვა განწყობილებას. მისი ნამღერი ა. ეკიმიანის „თოვლი“, ს. ზასლავსკის „ო, ეს წითელი ცარიელი“, კ. ლისტოვის „მახსოვს მე ვალსის ხმა მშვენიერი“, ძველებური რომანსები „თავშალი“, „ნუ დამტოვებ სანატრელო“ და სხვანი გოოცებს გულწრფელობით, სიწმიხდით და მთაგობებით.

როცა ვკითხეთ, ხასიათის რომელი თვისება ხიბლავს ყველაზე მეტად, ბრეგვაძემ გვიპასუხა:

— უშუალობა და ადამიანის ღირსების პატივისცემა. მე მაყვარს მოვალეობის გრძნობის მქონე და ალალი ადამიანი. მხიბლავს ადამიანში, რა ასაკისაც უნდა იყოს, ბავშვური გულუბრყვილობა და გულწრფელობა. ნაღვლიანად შევაქციერი ხოლმე „ახალგაზრდა მოხუცებს“, ბავშვებს, რომლებიც მშობლებმა ნაადრევად „დაადარბაისლეს“.

ნანი იმითაც არის მომხიბვლელი, რომ არ „ვარსკვლავობს“. მომღერალი ახლობელია მაყურებლებისათვის, რადგან უზიარებს მათ, როგორც ახლო მეგობრებს, ყველასათვის გასაგებ სანუკვარ გრძნობებს — მწუხარებას, საყვარელი ადამიანის მონატრების სევდას, სიხარულსა და ბედნიერებას. განა მართალი არ არის ხალხი, როცა ამბობს: გაზიარება ლხინს აორკეცებს, ჭირს ანაგვრებსო. მსახიობის ხელოვნება მიწიერი არ არის. იგი ყოველთვის აღამაღლებს ხოლმე დარბაზს ადამიანური განცდების თავისეული გაგებით, თითქოსდა განასახიერებს, თავს უყრის, გაეხზოგადებს ადამიანურ ხასიათსა და ქცევას. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს (გ. ყანჩელის „მოლოდინი“, ვ. აზარაშვილის „ისევ წვიმს“, გ. ცაბაძის „ვერის უბნის მელოდიები“) ნანი ბრეგვაძე ისეთნირად ასრულებს, რომ დარბაზში მსხდომნი არ გრძნობენ ენობრივ ბარიერს. მომღერლის წარმატებას სამართლიანად ინაწილებს აკომპანიატორი — საქართველოს დამსახურებული არტისტი მედეა გონგლიაშვილი — ნიჭიერი პიანისტი, თავისებური ინტერპრეტატორი.

თუ თვალს მოჰკრავთ აფიშას, რომელიც ნანი ბრეგვაძის გამოსვლას გაუწყებთ, აუცილებლად წადით ამ კონცერტზე. და თუ რომელიმე რომანსს თუ სიმღერის შესრულებას ყამს უცებ გულზე რაღაც მოგაწვათ და თვალს ცრემლი მოგადგათ — ნუ დაირცხვენთ. როცა ნანი ბრეგვაძის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, უფლება გვაქვს ოდნავ გადავაკეთოთ პუშკინის სიტყვები და ვთქვათ, რომ „ეთნილ გრძნობებს უგალობდა“ თავის რომანსით. ეს კი ძალზე გვჭირდება ყველას.

ვ. ტერსაკიანი,
„პრავდა“ 1988 წ. 14-IV.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „განხორციელება“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცხელი ქვის ქალაქი“. 11.00 — „კვალი ნათელი“ — შემოქმედებითი პორტრეტები — პოლიკარპე კაკაბაძე. 12.05 — მხატვრული ფილმი „ცა ჩემთანაა“. 13.35 — „ახალი გრამფირფიტები“. 14.05 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დავით გამრეკელი“. 16.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი — „კურდღელი და ჯადოსნური როიალი“. 16.45 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია. 17.15 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის „ცეკა“. 18.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.05 — „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“ — „გაორება“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბერნარდა ალბას სახლი“ (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“— გრიგოლ აბაშიძე. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.35 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.05 — კინონარკვევი „ბრიგადირი“. 18.15 — ამტურიენტთათვის — ქიმია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კიროვოჩუბეიკი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ხერგიანი“. 11.00 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისთვის — „ცხოვრება კაცისა“ — ნიკოლოზ ტიხონოვი (განმეორებთ). 11.50 — კინონარკვევი „ტრასა“. 12.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ბერნარდა ალბას სახლი“ (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები). 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.00 — შვეიწყვლეოთ ინგლისური ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბუნებრივი“. 16.55 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან“. 17.30 — მხატვრის კვირეულის გამო „ვერნისაჟი“ (სსრ კავშირის მხატვართა VI საკავშირო ყრილობაზე). 18.30 — „მოამბე“. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს (19.45) გადაცემა — „კოლექტიური მეგობრობის წვრთნა ფაქიზად“. 20.45 — „კვალი ნათელი“ — ქართული დოკუმენტური ფილმი „ბესო ჟღენტი“. 21.00 — ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი პირველი — „ვუხმობ ცოცხლებს“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „ინტერვიუ მატჩის შემდეგ“. 22.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ქუთაისის „ტორპედო“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“ (მე-2 ტაიმის ვიდეოჩანაწერი). 23.45 — ახალი ამბები. 24.00 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში — კანადისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი. 16.50 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი — „მხიარული მატყუარა“. 17.45 — მოსწავლეთათვის — ხაზვა. 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეტალურგია დიალოგი“. 18.50 — განცხადებები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი — „ობის მთავარი შენაკადი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ოვანე ჯავახიშვილი“. 11.05 — მოსწავლეთათვის „წყალთსაცავი“ (განმეორებთ). 11.45 — „ახალი წიგნები“. 12.15 — „ამაგდარი“ დ. ჩიკვაიძე (განმეორებთ). 12.40 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა ლადო გუდიაშვილთან“. 13.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — შვეიწყვლეოთ გერმანული ენა. 16.30 — განცხადებები. 16.35 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. 17.15 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ“ — გზის დასაწყისი. 17.45 — „რეპორტაჟი სატელევიზიო ხარისხის სახლიდან“. 18.15 — „მეცნიერების სამყაროში“ — (ძველი ქართული კულტურის კერები). 18.45 — კინონარკვევი „საიანის ვარსკვლავი“. 19.00 — „კვალი ნათელი“ — სტუდია დიალოგი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი ქართული მოზაიკა“. 21.00 — „ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი მეორე. „მამისეული სახლი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — „სტუდენტური დღეები-83“ — „გაუმარჯოს გულახდილობას“. 23.40 — ახალი ამბები. 23.55 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯატა ლეოპოლდის შურისძიება“. 16.50 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 17.35 — კინონარკვევი „ზღვისა და მთების იქით“. 17.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.30 — დოკუმენტური ფილმი „სოფლის საათი“. 18.50 — განცხადებები.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი — „გოროდეცკული სათამაშო“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „კომისარი“. 11.00 — მეექვსე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 11.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ულეპაბი“. 12.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სერაფიმას კუნძული“. 13.30 — ამტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.00 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — „თერაპიის ინსტიტუტში“ (გამეორებით). 17.45 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“. 18.35 — „სტუდენტური დღეები-83“ — „ბიჭები საქართველოა“. 19.00 — „კოლექტიური მეგობლობის წვერთა დასახმარებლად“. 19.15 — „მილენთა ლენინური უნივერსიტეტი“ — „ორი სამყარო — ორი პოლიტიკა“ (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — კინონარკვევი. 21.00 — ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი მესამე. „მძიმე წლები“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „კვალი ნათელი“. ქართული დოკუმენტური ფილმი „ალპური ვარსკვლავი“. 23.40 — ახალი ამბები. 23.55 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი. 16.50—მოსწავლეთათვის—სსრ კავშირის ისტორია. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შახტა“. 17.45—მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იხარე, თეთრო დუმფარავ“. 18.50 — განცხადებები.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 22 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წინასაცხვაობა პროფესიაზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ელადიმერ ულიანოვი“. 11.00 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან“ (განმეორებით). 11.35 — კინონარკვევი. 11.45 — მხატვრული ფილმი „ახლა როგორ მოგმართოთ“. 13.15 — დოკუმენტური ფილმი „ლენინური ადგილები სამარაში“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 —სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დიდი კოსმოსური მოგზაურობა“. 17.40 — მოსწავლეთათვის — „უფროსების მხარდამხარ“. 18.05 — ჩვენი სოფელი. 18.45 — „გახსენება“ — ნუგზარ გუნცაძე. 19.00 — „გასტროლებიდან — გასტროლებამდე“ — შეხვედრა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლთან. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30—„სტუდენტური დღეები-83“ — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ („მე და სიმღერა“). 21.10 — „ლიტერატურული თეატრი“ — ი. ჭავჭავაძე. „განდეგილი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.40 — „ხვალ — ტელეეკრანზე“ 22.45 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“ — მხატვრული ფილმი „წულიწადის ცხრა დღე“ (საბჭოთა მეცნიერების დღესთან დაკავშირებით).

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „მანათობელი ბუშტი“. 17.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.45 — კინონარკვევი „ჯადოსნური თიხა“. 18.00 — მასწავლებლის საათი — ქიმია. 18.45 — მხატვრული ფილმი „მწარე კენკრა“.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 9.25 — „ლექსო, ნუ დაიკარგები“. 11.15 — „კომუნისტები“. რადიონარკვევი „ნოვატორი“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — ა. პუშაჩოვას კონცერტი. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. პუშკინის ლექსები. 12.30 — ქართული ესტრადის მელოდიები. 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. ჭ. ამირეჯიბი — „დათა თუთაშხია“. 14.05 — საბალეტო მუსიკა. 15.00 — „მეცნიერება და ტექნიკა“. რადიოჟურნალი (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ყველა მერიდიანზე — გარდაიცვალა ამაგდარი სპეციალისტი, ენერგომშენებლობის ერთ-ერთი პიონერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვალერიან რაჟდენის ძე **ჩუბინიძე.**

ვ. ჩუბინიძე დაიბადა 1899 წელს. 1930 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ენერგიული და ბეჯითი შრომით იმოავთვე გამოიჩინა თავი რ.ონჰესის, ხრამჰეს-პირველის, სოხუმჰესის, სამგორის სარწყავი სისტემის, სიონჰესის და გუმათჰესის მშენებლობებზე.

1955-დან 1964 წლამდე ვ. ჩუბინიძე „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერია. ამ პერიოდში აშენდა ხრამჰეს-მეორე, ლაჯანურჰესი, ტყიბულჭესი და თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის 6 აგრეგატი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობაშიც.

1964 წლიდან ვ. ჩუბინიძე „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილეა, ხოლო 1974 წლიდან პენსიაზე გასვლის შემდეგაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს შრომას ტრესტის სისტემაში.

ვ. ჩუბინიძე დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებითა და სიგელით. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საპატიო ენერგეტიკოსის წოდება. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავია.

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტი; „საქმთავარენერგო“; „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალი; „ორგენერგომშენის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალი; საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ელექტროსადგურებისა და ელექტრომრენველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



ფილმი „ბესო ჟღენტი“. 21.00 — ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი პირველი — „ვუხმობ ცოცხლებს“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „ინტერვიუ მატჩის შემდეგ“. 22.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ქუთაისის „ტორპედო“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“ (მე-2 ტაიმის ვიდეოჩანაწერი). 23.45 — ახალი ამბები. 24.00 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში — კანადისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი. 16.50 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი — „მხიარული მატყუარა“. 17.45 — მოსწავლეთათვის — ხაზვა. 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეტალურგიის დიალოგი“. 18.50 — განცხადებები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი — „ობის მთავარი შენაკადი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ოვანე ჯავახიშვილი“. 11.05 — მოსწავლეთათვის „წყალთსაცავი“ — სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებთ). 11.45 — „ახალი წიგნები“. 12.15 — „ამაგდარი“ დ. ჩიკვაიძე (განმეორებთ). 12.40 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა ლადო გუდიაშვილთან“. 13.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 16.30 — განცხადებები. 16.35 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. 17.15 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ“ — გზის დასაწყისი. 17.45 — „რეპორტაჟი სატელევიზიო ხარისხის სახლიდან“. 18.15 — „მეცნიერების სამყაროში“ — (ძველი ქართული კულტურის კერები). 18.45 — კინონარკვევი „საიანის ვარსკვლავი“. 19.00 — „კვალი ნათელი“ — სტუდია დიალოგი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი ქართული მოზაიკა“. 21.00 — „ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი მეორე. „მამისეული სახლი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — „ინტერვიუ მატჩის შემდეგ“. 22.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ქუთაისის „ტორპედო“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“ (მე-2 ტაიმის ვიდეოჩანაწერი). 23.45 — ახალი ამბები. 24.00 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში — კანადისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯატა ლეოპოლდის შურისძიება“. 16.50 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 17.35 — კინონარკვევი „ზღვისა და მთების იქით“. 17.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.30 — დოკუმენტური ფილმი „სოფლის საათი“. 18.50 — განცხადებები.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი — „გოროდეცკული სათამაშო“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „კომისარი“. 11.00 — მეექვსე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 11.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ულეპაბი“. 12.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სერაფიმას კუნძული“. 13.30 — ამტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.00 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — „თერაპიის ინსტიტუტში“ (გამეორებით). 17.45 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“. 18.35 — „სტუდენტური დღეები-83“ — „ბიჭები საქართველოა“. 19.00 — „კოლექტიური მეგობლობის წვერთა დასახმარებლად“. 19.15 — „მილენთა ლენინური უნივერსიტეტი“ — „ორი სამყარო — ორი პოლიტიკა“ (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — კინონარკვევი. 21.00 — ვ. ი. ლენინი — „ფურცლები ცხოვრებიდან“ — მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის პრემიერა. ფილმი მესამე. „მძიმე წლები“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „კვალი ნათელი“. ქართული დოკუმენტური ფილმი „ალპური ვარსკვლავი“. 23.40 — ახალი ამბები. 23.55 — მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრები გუნდები (რეპორტაჟი გფრ-დან).

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი. 16.50—მოსწავლეთათვის—სსრ კავშირის ისტორია. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შახტა“. 17.45—მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იხარე, თეთრო დუმფარავ“. 18.50 — განცხადებები.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 22 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წინასაცხვაობა პროფესიაზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ელადიმერ ულიანოვი“. 11.00 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან“ (განმეორებით). 11.35 — კინონარკვევი. 11.45 — მხატვრული ფილმი „ახლა როგორ მოგმართოთ“. 13.15 — დოკუმენტური ფილმი „ლენინური ადგილები სამარაში“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 —სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დიდი კოსმოსური მოგზაურობა“. 17.40 — მოსწავლეთათვის — „უფროსების მხარდამხარ“. 18.05 — ჩვენი სოფელი. 18.45 — „გახსენება“ — ნუგზარ გუნცაძე. 19.00 — „გასტროლებიდან — გასტროლებამდე“ — შეხვედრა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლთან. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30—„სტუდენტური დღეები-83“ — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ („მე და სიმღერა“). 21.10 — „ლიტერატურული თეატრი“ — ი. ჭავჭავაძე. „განდეგილი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.40 — „ხვალ — ტელეეკრანზე“ 22.45 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“ — მხატვრული ფილმი „წულიწადის ცხრა დღე“ (საბჭოთა მეცნიერების დღესთან დაკავშირებით).

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „მანათობელი ბუშტი“. 17.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.45 — კინონარკვევი „ჯადოსნური თიხა“. 18.00 — მასწავლებლის საათი — ქიმია. 18.45 — მხატვრული ფილმი „მწარე კენკრა“.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18